

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №62  
2018 წლის 25 დეკემბერი

ქ. საგარეჯო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის #33 დადგენილება.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ოთარ ჩალათაშვილი

დანართი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
I. შემოსავლები	10638.132	2026.198	8611.934	14033.030	3818.530	10214.500	12,050.6
გადასახადები	3270.026	0.000	3270.026	3050.000	0.000	3050.000	10,655.6
გრანტები	6124.798	2026.198	4098.600	9813.030	3818.530	5994.500	210.0
სხვა შემოსავლები	1243.308	0.000	1243.308	1170.000	0.000	1170.000	1,185.0
II. ხარჯები	7009.077	0.000	7009.077	8456.565	130.000	8326.565	9,050.0
შრომის ანაზღაურება	1316.647	0.000	1316.647	1715.259	0.000	1715.259	1,959.0
საქონელი და მომსახურება	1669.771	0.000	1669.771	1721.201	0.000	1721.201	2,055.3



პროცენტი	1.017	0.000	1.017	48.940	0.000	48.940	28.1
სუბსიდიები	3227.422	0.000	3227.422	3845.004	0.000	3845.004	4,192.3
გრანტები	12.500	0.000	12.500	12.500	0.000	12.500	12.5
სოციალური უზრუნველყოფა	632.109	0.000	632.109	637.876	0.000	637.876	587.9
სხვა ხარჯები	149.611	0.000	149.611	475.785	130.000	345.785	214.9
III. საოპერაციო საღდო	3629.055	2026.198	1602.857	5576.465	3688.530	1887.935	3,000.6
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	4620.555	2161.680	2458.875	7081.450	4292.227	2789.223	2,982.6
ზრდა	4690.601	2161.680	2528.922	8131.450	4292.227	3839.223	3,132.6
კლება	70.047	0.000	70.047	1050.000	0.000	1050.000	150.0
V. მთლიანი საღდო	-991.500	-135.482	-856.018	-1504.985	-603.697	-901.288	18.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-1008.186	-135.482	-872.704	-1504.985	-603.697	-901.288	0.0
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.000			0.000			0.0
კლება	1008.186	135.482	872.704	1504.985	603.697	901.288	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1008.186	135.482	872.704	1504.985	603.697	901.288	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-16.686	0.000	-16.686	0.000	0.000	0.000	-18.0
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.0
კლება	16.686	0.000	16.686	0.000	0.000	0.000	18.0
საშინაო	16.686	0.000	16.686	0.000	0.000	0.000	18.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

**მუხლი 2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანადართული რედაქციით:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსულობები	10708.178	15083.030	12200.6
შემოსავლები	10638.132	14033.030	12050.6
არაფინანსური აქტივების კლება	70.047	1050	150
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)	-1590.063	-85.078	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0



გადასახდელები	11716.363	16588.015	12200.6
ხარჯები	7009.076	8360.423	9050,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4690.601	7177.591	3132,6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	-2598.249	-1590.063	0
ვალდებულებების კლება	16.7	0	18.0
ნაშთის ცვლილება	-1008.185	-1504.985	0

## თავი II

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 12 050.6 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019წ გეგმა
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	10638.132	2026.198	8611.934	14033.030	3818.530	10214.500	12,050.6
გადასახადები	3270.026	0.000	3270.026	3050.000	0.000	3050.000	10,655.6
გრანტები	6124.798	2026.198	4098.600	9813.030	3818.530	5994.500	210.0
სხვა შემოსავლები	1243.308	0.000	1243.308	1170.000	0.000	1170.000	1,185.0

### მუხლი 4. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 10655,6 ათასი ლარის ოდენობით:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გადასახადები	3270,026	3050,0	10655,6
ქონების გადასახადი	2726,977	2550,0	2800,0



საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	698,721	725	790
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	23,381	15,0	10,0
მიწაზე ქონების გადასახადი	2015,875	1810,0	2000,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0	0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0	0	7855,6
საშემოსავლო გადასახადი	543,0	500	0

#### მუხლი 5. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 210 ათასი ლარის ოდენობით:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გრანტები	6124,798	9813,030	210
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	6124,798	9813,030	210
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4098,6	5994,5	210
გათანაბრებითი ტრანსფერი	3888,6	5784,5	0
მიზნობრივი ტრანსფერი	210,000	210,000	210,000
სპეციალური ტრანსფერი	0	0	0
კაპიტალური ტრანსფერი	2016,198	3818,530	0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2026,198	3518,349	0
მთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0	300,181	0

#### მუხლი 6. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1185,0 ათასი ლარის ოდენობით:



დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1243,308	1170,0	1185,0
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>663.334</b>	<b>590.000</b>	<b>600.0</b>
პროცენტები	87.845	80.000	90.0
რენტა	575.489	510.000	510.0
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>87.601</b>	<b>80.000</b>	<b>85.000</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	81.869	74.000	79.0
სანებართვო მოსაკრებელი	34.032	32.000	32.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0	0	0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.200	2.000	2.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0	0	0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	45.637	40.000	45.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.732	6.000	6.0
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>491.773</b>	<b>500.000</b>	<b>500.0</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>0.600</b>	<b>0</b>	<b>0</b>

## თავი III

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი

ფუნქციონალური კლასიფიკაცია

## მუხლი 7. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9050,0 ათასი ლარის ოდენობით:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
<b>ხარჯები</b>	<b>7009.077</b>	<b>8456.565</b>	<b>130.000</b>	<b>8326.565</b>	<b>9,050.0</b>
შრომის ანაზღაურება	1316.647	1715.259	0.000	1715.259	1,959.0
საქონელი და მომსახურება	1669.771	1721.201	0.000	1721.201	2,055.3
პროცენტი	1.017	48.940	0.000	48.940	28.1
სუბსიდიები	3227.422	3845.004	0.000	3845.004	4,192.3



გრანტები	12.500	12.500	0.000	12.500	12.5
სოციალური ზრუნველყოფა	632.109	637.876	0.000	637.876	587.9
სხვა ხარჯები	149.611	475.785	130.000	345.785	214.9

**მუხლი 8. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2982,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3132,6 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარში

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	21.898	273.266	0.000	273.266	176.000
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.260	0.000	0.000	0.000	0.000
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4219.189	6711.549	3781.071	2930.478	2267.200
04 00	განათლება	428.913	1077.407	511.156	566.251	505.000
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	17.645	54.238	0.000	54.238	133.000
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.696	14.991	0.000	14.991	51.400

ბ) განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	70.047	1050.000	150.0
ძირითადი აქტივები	23.110	30.000	100.0
მატერიალური მარაგები	0	0	0



ფასეულობები	0	0	0
არაწარმოებული აქტივები	46.936	1020.000	50.0
მიწა	46.936	1020.000	50.0

**მუხლი 9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი სულ	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა
			სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1990.498	2737.577	0.000	2737.577	3,130.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1989.481	2688.637	0.000	2688.637	3,102.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1989.481	2688.260	0.000	2688.260	2,902.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.000	0.377	0.000	0.377	200.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1.017	48.940	0.000	48.940	28.1
702	თავდაცვა	98.827	116.600	0.000	116.600	120.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2325.683	3483.627	1617.924	1865.703	1,264.2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	17.745	0.000	0.000	0.000	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	17.745	0.000	0.000	0.000	0.0
7045	ტრანსპორტი	2307.938	3483.627	1617.924	1865.703	1,264.2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2307.938	3483.627	1617.924	1865.703	1,264.2
705	გარემოს დაცვა	781.035	856.766	0.000	856.766	906.4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	515.349	628.266	0.000	628.266	705.2
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	105.719	32.100	0.000	32.100	0.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	159.966	196.400	0.000	196.400	201.2



706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2417.173	4275.289	2293.148	1982.141	1,815.2
7063	წყალმომარაგება	1291.469	1747.081	1030.424	716.656	726.2
7064	გარე განათება	606.062	725.369	148.743	576.626	746.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	519.642	1802.839	1113.981	688.859	343.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	81.296	88.900	0.000	88.900	91.4
7072	ამბულატორიული მომსახურება	1.346	3.900	0.000	3.900	3.9
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	79.950	85.000	0.000	85.000	87.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1038.922	1157.900	0.000	1157.900	1,352.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	489.558	535.980	0.000	535.980	669.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	504.615	567.000	0.000	567.000	623.4
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	22.994	28.000	0.000	28.000	29.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	21.754	26.920	0.000	26.920	29.9
709	განათლება	2136.975	2996.357	511.156	2485.201	2,619.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	2068.296	2922.657	511.156	2411.501	2,529.3
7092	ზოგადი განათლება	68.679	73.700	0.000	73.700	90.0
710	სოციალური დაცვა	829.270	875.000	0.000	875.000	883.8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	12.550	22.500	0.000	22.500	22.5
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	12.550	22.500	0.000	22.500	22.5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	215.111	291.091	0.000	291.091	295.3
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1.800	1.800	0.000	1.800	1.8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	5.900	15.000	0.000	15.000	15.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	34.404	30.500	0.000	30.500	29.1
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	555.955	511.609	0.000	511.609	517.6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3.550	2.500	0.000	2.500	2.5
	სულ	11699.678	16588.015	4422.227	12165.788	12,182.6



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა

და ვალდებულებების ცვლილება

**მუხლი 10. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	3629.055	5576.465	3000,6
მთლიანი სალდო	-991.500	-1504.985	18.0

**მუხლი 11. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (0,0) ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება (0,0) ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-18,0) ათასი ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-16.686	0.000	-18.0
ზრდა	0.000	0.000	0.0
საშინაო	0	0	0
საგარეო	0	0	0
კლება	16.686	0.000	18.0
საშინაო	16.686	0.000	18.0
საგარეო	0	0	0

განისაზღვროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წლის ბოლოსთვის 341,4 ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2019
სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა	341,4



მუნიციპალური განვითარების ფონდი	18,0

**მუხლი 13. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი **200 ათასი ლარის** ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

**თავი V**

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები**

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 14. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები**

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; განათლება; კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები; მოსახლეობის ჯანმრთელობისა და დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

**1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)**

**პროგრამის მიზანი:** თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების კომპეტენტურად და წარმატებით გადაწყვეტა, სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და შემდგომში თითოეული მათგანის კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ეფექტურობის ამაღლება.

**პროგრამის აღწერა:** პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებს დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში და გაზარდოს ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

**2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

**პროგრამის მიზანი:** საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა აღრიცხვა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფის განხორციელება.

**პროგრამის აღწერა:** მოიცავს სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციის და გაწვევის სამსახურის შენახვის ხარჯებს.

**3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება მუნიციპალიტეტისათვის.

**3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)**

**პროგრამის მიზანი:** საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

**პროგრამის აღწერა:** ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის გზების მნიშვნელოვანი



სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს არსებული გზების რეკონსტრუქციას, განახლება-მოდერნიზებას, კერძოდ, მოასფალტდება ქ.საგარეჯოში წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზა სათავის ქუჩის მონაკვეთი, სარაჯიშვილის ქუჩა, მარჯანიშვილის ქუჩა, გ.ქურდიანის ქუჩის მონაკვეთი ღვთისმშობლის ეკლესიამდე, რუსთაველის ქუჩის მონაკვეთი წიფლის ხევის მიმდებარედ; თამარ მეფის ქუჩაზე მოეწყობა ტროტუარები, მოასფალტდება და აღდგება სანიაღვრე არხები; ჯაფარიძის ქუჩაზე მოეწყობა ტროტუარები; მოხდება სოფელ უდაბნომდე მისასვლელი გზის აღდგენა, სოფელ ხაშმის შიდა გზის მოასფალტება და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობა; სოფელ მანავში „ტურის უბანში“ დაიგება ა/ბეტონის გზის საფარი; მომზადდება სოფელ გიორგიწმინდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების პროექტი; განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების ორმული შეკეთება.

### 3.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

**პროგრამის მიზანი:** წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ქალაქ საგარეჯოს და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნაგვის გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სათავე ნაგებობების და ქსელების მოვლა-შენახვა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების ნატანებისაგან გაწმენდა.

#### ა. წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, არსებული წყალმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, სასმელი წყლის ჰაბურღილების რეაბილიტაცია. დასრულდება სოფელ კაკაბეთის სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები; განხორციელდება სოფ.თოხლიაურში,სათავე-ნაგებობიდან სოფლამდე სასმელი წყლის მილის მოწყობა, სოფ.გიორგიწმინდაში ე.წ."ნავრობის " ხევზე არსებული სათავე-ნაგებობების და სოფელ ნინოწმინდის სათავე-ნაგებობის შემოღობვა,სანიტარული ზონის მოწყობა; მზისგულში სათავე-ნაგებობებზე სადრენაჟე სისტემის გაწმენდა-რეაბილიტაცია და ნაგებობების შემოღობვა, ბადიაურში 50 მ 3 ტევადობის რეზერვუარის და შიდა საუბნო ქსელის მოწყობა, ასევე არსებულ სატუმბ სადგურთან რკინა-ბეტონის რეზერვუარის და"ჭების" შეკეთება-რეაბილიტაცია,ყანდაურაში 50 მ 3 ტევადობის რეზერვუარის მოწყობა და დაზიანებული სასმელი წყლის d-63 მმ-იანი პოლიეთილენის მილის 2 000 გრმ/მ-ის ამოცვლა ახლით,ასევე ე.წ."ალაკნის"(წყალზე) უბანში 25 მ 3 ტევადობის ახალი ემალირებული რეზერვუარის შეძენა-მონტაჟი, ზემო ყანდაურაში 16 მ 3 ტევადობის ლითონის ემალირებული რეზერვუარის მოწყობა არსებულ ქსელთან დაერთებით, კოჭბაანში 2 ცალი რკინა-ბეტონის დაზიანებული რეზერვუარის შეკეთება-რეაბილიტაცია და სათავე ნაგებობის სადრენაჟე სისტემის გაწმენდა, უჯარმაში სარწყავი წყლის d-110 მმ-იანი და d-63 მმ-იანი პოლიეთილენის მილებით მოწყობა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა საუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა (დარეგულირება) და რეცხვა-დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებებით. წყლის საანალიზო სინჯების აღება არსებულ სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ჩატარება.

#### ბ. გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და არსებული ნათურების ნაწილის შეცვლა ახალი დიოდური სანათებით, საგარეჯოში დავით აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩებზე მოხდება არსებული სანათების ამოცვლა „LED 150W“ სანათებით. მოხმარებული ელექტროენერჯიის ღირებულების დაფარვა. განხორციელდება ახალი გარე განათების მოწყობა ქ.საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩაზე, ერისთავის ქუჩაზე,მარჯანიშვილის ქუჩაზე, წიფლის ხევის მიმდებარედ, სოფელ ვერხვიანში, სოფელ მარიამჯვარში, სოფელ პატარძელში და სოფელ შიბლიანში.

#### გ. გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ საგარეჯოს 49 ქუჩიდან, სოფელ გიორგიწმინდის,



ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძელის, თოხლიაურის და მანავის მოსახლეობიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა ორ დღეში ერთხელ. სოფელ ხაშმიდან, სოფელ დიდი ჩაილურიდან და სოფელ პატარა ჩაილურიდან სამ დღეში ერთხელ. მუნიციპალიტეტის დანარჩენი სოფლებიდან ნაგვის გატანა კვირაში ორჯერ მუნიციპალიტეტის ნაგავზიდი მანქანებით; ასევე განხორციელდება ქალაქ საგარეჯოს ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა-დასუფთავება, წყალსადინარი არხების გაწმენდა ქ.საგარეჯოში, სოფელ გიორგიწმინდის და ნინოწმინდის ცენტრალურ ქუჩებზე, „ტიკიაურის ხევის“ სანიაღვრე არხის გაწმენდა და მოვლა-პატრონობა. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის ახალი ბუნკერების შექმნა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების მოვლა-პატრონობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა, არსებული ხეების კალაპოტების ნატანებისაგან გაწმენდა, რადგან არ მოხდეს მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვა, არ მოხდეს წყლის ნაკადის ცენტრალურ გზაზე გადასვლა და ტრანსპორტის გადაადგილების შეფერხება, ასევე გზების გაწმენდის სამუშაოები. დაფინანსდება ამ მიმართულებით გამოსაყენებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები და მოხდება შპს „საგარეჯო“-ს და შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის სუბსიდირება.

### 3.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სივრცეების მოწესრიგება-რეაბილიტაცია, ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის მხარდაჭერის დაფინანსება.

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა. დაფინანსდება კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ გათვალისწინებულია ქ.საგარეჯოში იმედის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი 4 კორპუსის შენობის სახურავების რეაბილიტაცია და 2 კორპუსის ეზოში ასფალტის საფარის დაგება, ქ.საგარეჯოში ელექტრო საათის მოწყობა და კახეთის გზატკეცილზე ე.წ. „საავადმყოფოს“ მიმდებარე კორპუსებთან არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია. სოფელ გომბორში საჭიდაო დარბაზის მოწყობა, სოფელ ბადიაურში ახალი სპორტდარბაზის მოწყობა.

## 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა და სხვა.

### 4.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

**პროგრამის მიზანი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირებას, ეს არის სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა - სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა, ბავშვების სხვადასხვა სოფლებიდან ტრანსპორტირება. 2019 წელს გათვალისწინებულია სოფელ პატარძელის №2, კაკაბეთის №2, უჯარმის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, აგრეთვე საგარეჯოს №4 საბავშვო ბაღის ერთი ოთახის მოწყობა და რეაბილიტაცია. პროგრამას ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტი და ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი დაწესებულება და ორი ალტერნატიული ჯგუფი (60 ბავშვით), სადაც სწავლობს 1335 აღსაზრდელი, კვება გათვალისწინებულია 1275 ბავშვის.



## 4.2 სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

**პროგრამის მიზანი:** მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, მოსწავლე-ახალგაზრდობის (6-18 წლამდე) ინტელექტუალურ-შემეცნებითი, ესთეტიკური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა.

**პროგრამის აღწერა:** მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. ასევე არაქართული მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლა. პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელება, აგრეთვე ითვალისწინებს 2019 წელს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოს.

## 5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

### 5.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

**პროგრამის მიზანი:** ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ნაკრების და ასაკობრივი გუნდების მოზადებას და მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ სხვადასხვა სახეობის (ჭადრაკის, ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა, კრივის, მკლავჭიდის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, რაგბის, კალათბურთის) სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენტთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას; 2019 წელს აღსაზრდელების და მათი მშობლების მოთხოვნით დაემატება ტანვარჯიშის, კარატეს, კალათბურთის, ფრენბურთის სექციები; მოეწყობა სოფ.გომბორში საჭიდაო დარბაზი და მოხდება ქ.საგარეჯოში „კახეთის გზატკეცილზე ე.წ. "საავდმყოფოს" მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლების მიმდებარედ არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია.

### 5.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონის ამაღლება.

